№ 30

ოთხშაბათი, 9 თებერვალი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 30

ოთხშაბათი, 9 თებერვალი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახ-ლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი

ოთხშაბათს, 9 თებერვალს

ვ ა ლ ე რ ი ა ნ გ უ ნ ი ა ს

ს ა ბ ე ნ ე ფ ი ს ო დ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ-ნი მ. საფაროვის, ბ. ავალიშვილის და ბ-ნი ალექსეევ-მესხიევის, ყიფიანის და ტყვიაველის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**I**

პირველად ახალი პიესა

## ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ჩვენ დროინდელი სურათები 2 მოქ. ვ. გუნიასი

ეძღვნება ალექსანდრე ყაზბეგის ხსოვნას

ვასილ ბედკრულაძის როლს შეასრულებს

**ვლადიმ. ალექსეევ-მესხიევი**

**II**

## ა ლ ლ უ მ ი

კომედია-ხუმრობა 4 მოქმედებად გადმოკ. ვალ. გუნიას მიერ

1 მოქმედ. ✦ 2 მოქმედ. ✦ 3 მოქმედ. ✦ 4 მოქმედ.

ჯარის სადგომი ✦ სამხედ. თათბირი ✦ იერიშით მისვლა ✦ გამარჯვ. ნადავლი

მოქმედება სწარმოებს თიანეთში

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, მაქსიმიძისა, მმინაროვისა და სხ. ბ-ნნი ალექსეევ-მესხიევი, ყიფიანი, ტყვიაველი, სვიმონიძე, გუნია, აწყურელი, შათირიშვილი, განდელაკი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

შეგირდებისათვის კუპონები ლოჟების უკან 60 კაპ.

დასაწყისი სწორედ 7 1/2 საათზედ

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა

**№ 7**

დაიბეჭდა და ისყიდება

თ ხ ზ უ ლ ე ბ ა ნ ი

**გ. წ ე რ ე თ ლ ი ს ა**

I ტომი

**ფ ა ს ი ს ა მ ი ა ბ ა ზ ი**

(5—3)

ტფილისი, 9 თებერვალი

—

სალიტერატურო ფონდის დაარსების განზრახვა დიდი ხანია ტრიალებდა ჩვენში, მაგრამ ეს აზრი არაოდეს ისე დროზედ არ ყოფილა მიწოდებული საზოგადოებისათვის, როგორც ამ ჟამად.

ბატონმა გაბაშვილის მეუღლემ ეკატერინემ დიაღ ჩინებული დრო შეურჩია ამ საქმეს, და უეჭველია მშვენიერი აზრი ჩვენის ნიჭიერის მწერალის-ქალისა კეთილად დაგვირგვინდება.

დღეს ჩვენ ყოველის მხრივ გვესმის, რომ „დროა საზოგადოებამ მიაქციოს ღირსეული ყურადღება ქართულ ახლად ფეხ-ადგმულ მწერლობას, დაეხმაროს შეუძლებელ მწერალთა და მისცეს საშვალება მთელი თავისი ნიჭი და ღონე ლიტერატურას მოახმარონ?"

ეს აზრი გვესმის საზოგადოებაში და ამ გვარისავე ხასიათის ბარათები მოგვდის რედაქციაში.

ჩვენ ვალდებულნი ვართ აღვნიშნოთ ასეთი საერთო თანაგრძნობა ახლად განზრახულის საქმის მიმართ და ვისურვოთ, რომ სიტყვა მხნედ და გონიერად წარმოთქმული «ივერიაში» ბატონის ეკატერინეს მიერ სისრულეში მოეყვანოს ავტორს.

ჩვენს ნატვრას, როგორც გადმოგვცეს, სასურველი მერმისი მოელის. ბატონი ეკატერინე კიდეც შესდგომია სალიტერატურო ფონდის საზოგადოების წესდების შემუშავებას და ამ დღეებში იგი ჰფიქრობს მიიწვიოს სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში საზოგადოება, რომელსაც წარედგინება განსახილველად პროექტი ამ საგნის შესახებ.

შემდეგ თვით ამ კრებისაგან იქმნება დამოკიდებული საფუძვლიანად გაარჩიოს აღნიშნული პროექტი, შესცვალოს და დაუმატოს, თუ რასმე საჭიროდა ნახავს და სხ...

მაგრამ როდესაც რომელსამე საზოგადო საქმეზედ ჩამოვარდება ლაპარაკი, რომელსაც არავითარი კერძო ხასიათი არა აქვს და მთელად თავისის აზრით და მნიშვნელობით საზოგადო საკუთრებაა, ჩვენ ყოველთვის იმისი ეჭვი და შიში გვებადება: „ვაი თუ ამ კეთილ საქმეშიც უკეთური მადა, დას-დასობა და ინტრიგები გამოერიოს და არიოს მონასტერი".

ეს უბედური ეჭვი გვიწამლავს ყოველს ნათელსა და სპეტაკ აზრს. პესსიმისტობად ნუ ჩამოგვერთმევა და უნდა აღვიაროთ, რომ ამ უკანასკნელ ათს წელიწადში არ დაბადებულა ისეთი საზოგადო საქმე, არ გაჩენილა ისეთი საერთო სასარგებლო საგანი, რომელსაც არ დაჰყოლოდეს უკეთურობა და შური.

ჩვენ არ ვსთვლით საჭიროდ აქ დავასაბუთოთ ეს აზრი, რადგანაც იმედი გვაქვს, ამის წინააღმდეგის თქმა ერთობ საძნელო იქნება და დამტკიცებანი ჩვენის სიტყვებისა ყველას თვალწინა აქვს.

ამ ჟამად ვისურვებთ მხოლოდ, რომ ეს კეთილი და საჭირო დაწესებულება ჩვენის მწერლობის წარმატებისათვის ასცდენოდეს იმ ხიფათს, რომლის შიშიც ზემოდ გამოვსთქვით.

მეველე

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისის ქალაქის მოურავი პ. ა. იზმაილოვი, რომელმაც დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს მიულოცა დანიშვნა მისის იმპერატორის უმაღლესობისა დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულისა და დიდი მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისა, ღირს იქმნა და მიიღო მისგან შემდეგი დეპეშა:

„თქვენმა დეპეშამ დიდად გამახარა, გთხოვთ გადასცეთ ქალაქის საბჭოს ჩემი გულითადი მადლობა მოლოცვისათვის, აგრეთვე ჩვენის ოჯახის სიხარულში მონაწილეობისათვის.

მიხეილი."

დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისაგან:

„დიდად მასიამოვნა ტფილისის საბჭოს მოლოცვამ და გულითა და სულით გმადლობთ თქვენცა და საბჭოს წევრთაც. ჩემმა სამშობლო ტფილისმა, საცა ისე ბედნიერად განვლო ჩემმა ყმაწვილობამა და ახალგაზდობამ, წაუშლელი სასიხარულო კვალი დასტოვა ჩემს გულში და მისი მოგონება ყოველთვის მატკბობს. კურთხეულმც იყოს ღვთისაგან ეგ მშვენიერი ქალაქი და მთლად ეგ მხარე.

ალექსანდრე მიხეილის ძე."

აი მილოცვის დეპეშაც ბ-ნ იზმაილოვის მიერ გაგზავნილი:

«24 იანვრის კრებაზედ მისის, იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულის სახელწოდების დღეს ტფილისის ქალაქის საბჭოს მოვახსენე ამბავი დანიშვნისა მისის უმაღლესობისა და თქვენის უავგუსტოესის ძის დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისა, რომლის ხილვის ბედნიერება ჰქონდა ქალაქს თქვენის უმაღლესობის ოჯახითურთ თითქმის ოცის წლის განმავლობაში თავის ზღუდეთა შორის, და მან ერთ ხმად გადასწყვიტა: მოგანდობთ შენ მიულოცო ქალაქის საბჭოს სახელით ეგ დანიშვნა მის იმპერატორებითს უმაღლესობასაო.

ქალაქის საბჭოს ამ გარდაწყვეტილებას, ბედნიერებით აღვსილი, წარმოუდგენ თქვენს იმპერატორებითს უმაღლესობას».

ასეთივე მილოცვის დეპეშა გაეგზავნა მის იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს.

*** დღეს, ოთხშაბათს, 9 თებერვალს, ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი ქართულის სცენის დაუღალავის მოღვაწისა ვ. ლ. გუნიასი, რომელიც აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც ქართულს სცენაზედ ჰშრომობს და ქართულს პიესებსაცა სწერს. წარმოდგენილი იქნება მისივე ორიგინალი პიესა „ცხოვრება", სცენები 2 მოქმედებად, და „ალლუმი", მის მიერვე გადმოკეთებული ოთხ მოქმედებიანი კომე-

## ფელეტონი

—

### არა-მკითხე რევიზორის შენიშვნები

მკითხველს ეხსომება, რომ მე საკრეჭიაში შევედი სარევიზიოდ. აქ ბევრი რამ საყურადღებო შევნიშნე, მაგრამ ყოველ ამის ასაწერად არც კალამი მემორჩილება და კალამი რომ ნებას დამყვეს, ჩემი მეგობარი ეჩოძე მაინც შემილობავს გზას. თქვენ რაც გინდათ იფიქრეთ და მე-კი გამოცდილებით ვიცი, რომ ამ კაცთან ხუმრობა არ მარგია,—მეტის-მეტად მიზეზიანი არის. თავად ახალს წელიწადს გამოვეცხადე; ქუდიც-კი სახლში დავტოვე, რომ უდროოდ მის მოხდით ადრინდებულად არ გამეცოფებინა. გამოვეცხადე და ვუსურვე, რომ ახალს წელსაც ისე უხიფათოდ გადარჩენოდა, როგორც წარსულს გადარჩა. ამ გვარის მილოცვით დიდად ვასიამოვნე, რადგან, არა თუ მთელის წლისაგან, ყოველ მზიან დღისაგან ხიფათსა და უბედურებას მოელის. თუ რამ ჩააგდო ასეთს განსაცდელში, ამის გამოქვეყნების ნებას-კი არ მაძლევს და არც მე, მისი უზომოდ პატივის მცემელი ვკისრულობ ამ გვარს სამსახურს. ჩვეულებრივის მიკვლევის შემდეგ ვსთხოვე, რომ ახალის წლისათვის ჩემის მოქმედების პრაგრამმა გადმოეცა.

—- ილოცე! მოკლედ მომიჭრა მან.

— კარგი, მაგრამ ლოცვების სია მაინც...

— Маршъ! დაიჭექა ეჩოძემ და თქვენი ერთგული მოსამსახურე ელვის სისწრაფით გავრბოდი ჩემის ბინისაკენ; ბოდიშის მოხდაც-კი ვერ მოვასწარი. რა გზა მქონდა? ბრძანების ასრულების ჩვეულს, ლოცვა უნდა გამეხადა დღიურ მოქმედების საგნად. მეც ავირჩიე ერთი ხის ძირი და, რადგან ყველა ლოცვაზე კარგად საუფლო ლოცვა ვიცოდი, უფრო ხშირად ამას ვიმეორებდი ხოლმე. ეს მეათედ ვლოცულობდი. ერთობ წყნარი ღამე იდგა. ცა ხშირი ვარსკვლავებით მოიჭედა. მთვარე ასცდა ჩემს ბინასთან ამართულს გორას და ვერცხლის ფერი დასდო არე-მარეს. ვიდექი არჩეულ ხის ძირში და მშვენიერი სურათით გატაცებული, უამრავს მადლობას ვსწირავდი შემოქმედს, რომელმაც ასეთი მშვენიერი სამყოფელი მოგვიმზადა მე და ჩემს მბრძანებელს. დიაღ, ღმერთმა შეჰქმნა ეს ტურფა სამყოფელი კაცთა ნათესავისათვის, დაგვამკვიდრა შიგ და თავისი საყვარელი შვილიც-კი არ დაიშურა, გამოგზავნა, რათა ძმობა და სიყვარული ჩამოეგდო შურით გატაცებულ მკვიდრთა შორის. მერე როგორ მოექცენ თავიანთ მხსნელს? რამდენად გამოვიყენეთ მისი მოძღვრება? რა კარგად ვიცხოვრებდით ამ ედემში, რომ ერთმანერთს ხელს არ ვუშლიდეთ! გავიფიქრე უნებურად, მაგრამ რა-კი ფიქრი ჩემს პრაგრამმაში ჩართული არ იყო, ისევ მალე ავლაგმე უალაგოდ ატეხილი გონება, მუხლი მოვიყარე და ერთხელვე აჩემებული ლოცვა წარმოვსთქვი.

ან-კი რა გზა მაქვს? ცუდად ჯდომას—ცუდად შრომა სჯობია. მეც ასე ვიქცევი და, რაც საკრეჭიაში შევნიშნე, სიამოვნებით ვუზიარებ მკითხველს. ჯერ თითონ საკრეჭიელებს გადავავლოთ თვალი. საკრეჭიის მკვიდრთა უმრავლესობა ორს უფრო თვალსაჩინო ბანაკს წარმოადგენს ერთს ბანაკს ეკუთვნიან მოღლილნი მეორეს—დალაქნი. პირველი ბანაკი მუდამ დედამიწას ჩაჰკირკიტებს, რომ ლუკმა პური მოაცემინოს. მეორე ბანაკი დალაქობს: ჰკრეჭს და სისხლს უშვებს. ერთს ბანაკში საშინელი სიღარიბე გამეფებულა, მეორე-კი განცხრომაშია. პირველ ბანაკის გმირის შეხვედრა ცრემლს მოგგვრის. შეუწყვეტელს ზრუნვას ლუკმა პურისათვის, აუტანელს შრომას თავისი დაღი დაუსვამს: დადის თავ-დახრილი, დაღვრემილი; უდროოდ დაღარული სახე ტანჯვის გამომხატველ სარკედ გადაქცევია, თმა გასჭაღარავებია და, თუმცა ჯერ ოც-და-ათის წლისაც არ არის, მაგრამ სამოცის წლის მოხუცს მოგაგონებს. წრეს გასულს სიღარიბეს მის ოჯახში სიმწარე შეუტანია; საწყლებს სული ვეღარ მოუბრუნებიათ. აქ მთელის ოჯახის კეთილდღეობა თითოეულ წევრის მარჯვენაზეა დამყარებული და ყოველი გაუქმებული ხელი მძიმე ტვირთად აწვება მთელს სახლობას. ხელ-მარტო კაცის ნაამაგარი არ გასწვდა ყველაფერს და მთელი მისი ოჯახის წევრნი სცდიან სიცივისა და სიმშილის სიმწვავეს. ჩჩვილს და უგონო წვრილშვილს და ჭკუიდგან გასულს მოხუცს მამას ვერ წარმოუდგენიათ თავიანთ გაჭირვების ნამდვილი მიზეზი და ყველა ოჯახის ერთად-ერთის ბურჯის, ჩემმიერ დასახელებულის გმირის უხერხულობას უჩივიან. ამიტომაც ნუ გაგიკვირდებათ, თუ საბრალო მამა მისი სოფლის მოსამართლეებთან მილახლახებს და უბეშიც არზა უდევს:

დია. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ქართულის სცენის საუკეთესო არტისტები. საზოგადოება, რომელიც ხშირად აჯილდოვებს ამ არტისტ-დრამატურგს თავისის თანაგრძნობით, საიმედოა, რომ ეხლაც არ მოაკლებს ყურადღებას.

*** „მოამბის“ მეორე ნომერი ხვალ უნდა გამოვიდეს. ამ მეორე წიგნის შინაარსია: და-ძმა, მოთხრობა შ. არაგვისპირელისა.—იანკო მემუსიკე, გ. სენკევიჩისა.—წითელი ყვავილი, ვსევოლოდ გარშინისა.—ანდრე კორნელი, რომანი პოლ-ბურჟესი.—ლექსები ი. ჭავჭავაძისა, გრ. ვოლსკისა, ილ. ჩიქოანისა და შ. მღვიმელისა.—დავით აღმაშენებელი, მონოგრაფია ნ. ურბნელისა.—ინდოეთი, ე. ლომანსკიდგან.—ღვინის დაყენება, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა.—მეურნე და მეურნეობა, ე. იოსელიანისა.—ახალი კანონები.—ბანკის კრება, ნ. ნიკოლაძისა.—შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.—კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

*** გუშინ, 8 თებერვალს, ტფილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

*** 8 თებერვალს ნაშუადღევის 1 საათზედ ცეცხლი გაუჩნდა ყორღანოვისა და ალიბეგოვის ცხენის რკინის გზის სადგომში მყოფს თივას.

ამ შენობაში დიდ-ძალი თივა იყო და უცბად აბურბუშელდა, ისე ძლიერ, რომ მაშინვე მიიქცია ყურადღება ცეცხლის მქრობელ რაზმისა. მივიდა კიდეც ეს რაზმი, მაგრამ თივა ისე უცბად დაიწვა, რომ აღარა ეშველებოდა-რა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი არავინ იცის. თივა დაზღვეული არა ყოფილა.

*** განჯაში შეიპყრეს ნიკოლოოზ მეღდუსი მნაცაკანოვი, რომელმაც მარშან ამხანაგებითურთ პოლიციას სროლა დაუწყო რევოლვერისა და ერთი დალაქი მოჰკლა სემინარიის ქუჩაზედ და მძიმედ დასჭრა ორი პოლიციელი და ერთი მუშა. მნაცაკანოვი გასულს კვირას ტფილისის საპატიმროში ჩამოიყვანეს. ამ საქმეს ტფილისის ოლქის სისხლის სასამართლო თებერვლის 11-ში გაარჩევს.

*** ტფილისის კომენდანტის მოადგილედ დროებით კავკასიის მთავარ-მმართებლის განკარგულებით დანიშნულ იქმნა პოლკოვნიკი ნ. ი. რეიტერი. ხოლო სახელმწიფო თეატრის დირექტორად-კი, როგორც ისმის, დანიშნულ იქნება პოლკოვნიკი თავ. გ. ორბელიანი.

*** გუშინ, თებერვლის 8-ს, ტფილისის „კრუჟოკში“ საამხანაგო სადილი გამართეს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებულთა, რადგანაც ამ დღეს შესრულდა 75 წელიწადი ამ უნივერსიტეტის დაარსებისა. სადილს ასს სულზედ მეტი დაესწრო. სტუდენტებმა მილოცვის დეპეშა გაუგზავნეს პეტერბურგის უნივერსიტეტს.

*** ორშაბასთ, 7 თებერვალს, შუადღისას, სოლოლაკის განყოფილების პოლიციის მოხელემ ვასილ მირონოვმა კოჯრის გზაზედ თავისის რევოლვერით თავი მოიკლა. საბრალოს ტყვია შიგ გულში მოხვდა და იმავე წამს გარდაიცვალა. მირონოვის გვამი საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს. თავის მოკვლის მიზეზი არავინ იცის.

*** თებერვლის, 7-ს ნაშუადღევის 2 საათზედ, იარმუკაში, ადოლფ მაიერის სამიკიტნოში, რომელიც გამბაროვის სახლშია, მოხელეს ვლადიმირ ანდიონს ჩხუბი მოუვიდა რაღაცაზედ ტფილისის მცხოვრებელ მიტროფონე გოლოვნინთან. ჩხუბში უკანასკნელმა პირველს გინება დაუწყო. ანდიონმა არ მოუთმინა, აიღო სტოლიდგან დანა და მარჯვენა გვერდში დაჰკრა. დაჭრილი გოლოვნინი მაშინვე პოლიციამ საავადმყოფოში გაჰგზავნა, მაგრამ გზაზედ სული დალია. ანდიონი დაპატიმრებულია.

*** ორშაბათს, საღამოს 6 საათზედ, წონიკოვის სახლში მცხოვრებელმა გასათხოვარმა-ქალმა აკულინა ბედიუხოვისამ თავი მოიწამლა წყალში გაბანილ წუმწუმით. თავის მოწამვლის მიზეზი არავინ იცის. ბედიუხოვისა პოლიციამ მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნა.

*** მაისის დამდეგ ტფილისში კავკასიის ცხენის ჯიშის მოშენების მფარველი საზოგადოება ცხენის იარმუკას ჰმართავს. ამის გამო გუშინ ამ საზოგადოების წარმომადგენელმა სტატსკი სოვეტნიკმა მეშჩერსკიმ მიმართა ქალაქის მოურავს და სთხოვა, დაგვინიშნე ალაგი, იარმუკის გასამართავადაო.

*** ოსეთი: ბარის ოსეთში, სახელდობ სოფელ ზინგასა და ხუმელაგაში საქონლის ჭირია ძრიელ გავრცელებული. ჭირით დახოცილ საქონელს ხალხი ატყავებს, ტყავს ინახავს და ხორცს შეექცევა. ცხადია, რომ ამისთანა ყოფაში ჭირი მალე არ განელდება.

*** ბათუმი: იანვრის მიწურულებში ძალიან ცუდი ამინდები დაიჭირა ბათუმში. ერთს საღამოს ისეთი ძლიერი ქვენა ქარი ამოვარდა, რომ კინაღამ დაჰლუპა ზღვის ღელვამ რაც ცეცხლის გემები იდგა ნავთ-სადგურში. სახლის ოდენა ტალღებს აგორავებდა აღშფოთებული, ღელვებული ზღვა. ქარი ჩავარდა შემდეგ და ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, რომელსაც ზედ-მოჰყვა სეტყვა ბერძნულის თხილის ოდენა თითოეული. მცირეს ხანს გასტანა ასეთმა საშინელებამ, თორემ მშვიდობით ველარ გადურჩებოდა ბათუმი ასეთს ბუნების რისხვასა.

*** სამეგრელო: ვერ წარმოიდგენთ სოფ. გულ-ეკარისა და კეთილარის გაჭირვებას, მეტადრე დიდწყლობას, როცა რიონი მოდიდებულია. სულ ხუთი ვერსია ამ სოფლებიდამ აბაშამდე, სადაც დუქან-ბაზარია, მკურნალი და ფერშლები იმყოფებიან აფთიაქიც არის გამართული, მაგრამ მისვლა არ უნდა იქ? რიონზე ბორნებია გამართული, მაგრამ ძალიან საშიშია ამ ბორნებით წყალში გასვლა-გამოსვლა. ათასი რომ ეხვეწო, ექიმი არ გამოგყვება. თუნდაც გამოგყვეს, ისე სწუხდება, რომ მეორედ ველარ გაუბედავ თხოვნას. მკურნალი ჩვენ ხშირად გვჭირდება, რადგან ვგონებ, არსად ავი ციებ-ცხელება ისე არ არის გახშირებული, როგორც აქ. ჩვენი ბრალიცაა: უწინ აქ ღვინოც ბლომად მოდიოდ-, რიონიც ხშირად არ იცვლიდა მიმართულებას ამის გამო არსად ჭაობიანი ადგილები არ იყო და ახლა-კი ღვინოც მოისპო, ვგონებთ და ჭანჭრობიანი გაგვიმრავლდა „ნარიონევებში“, ბ ახლა აქ გამუდმებული ციებ-ცხელებაა. დავიჯერო, არ შეიძლება, გვეშველოს როგორმე მთავრობის დახმარებით მაინც?!.

*** ჭოროხის ხეობა: აქამდე ხშირი იყო აქეთკენ შურის-ძიების მიზეზით კაცის-კვლა, ქურდობა, ძარცვა და სახლის ცეცხლ-წაკიდება. აქ ავაზაკობის ჩამდენი ზამთრობით ოსმალეთში მიდიოდა და გაზაფხულობით, შეატყობდა თუ არა, რომ ტყეს ფოთოლი გამოება, დამალვა შეიძლება, მოდიოდა ისევ ჩვენკენ თავის ავ-კაცობის განსაგრძობად. რაკი ახლა ოსმალეთისა და რუსეთის მთავრობა გულ მოდგინედ ეძებენ ამისთანა ავაზაკებს და უგზავნიან ერთმანერთს, ავაზაკნი და ფირალნიც ველარ ჰბედავენ ახლა თავიანთ წინანდებურ ავკაცობას. მეტადრე მას აქეთ- რაც ორი ავაზაკი, ძმანი არზანოღლები მოსცა ოსმალეთის მთავრობამ რუსეთს, ავკაცობამ შესამჩნევად იკლო. რუსეთმაც რამდენიმე ავაზაკი, ოსმალეთიდგან აქ გადმოსული თავ-შესაფარად, დაუბრუნა თავის მთავრობას. ოსმალეთში ჩვენებურის თავშესაფარი იყო ტრაპიზონი და მისი ახლო-მახლო სოფლები. აქ ცხოვრობდნენ ჭოროხის ხეობიდამ გადასული ბეგები, რომელნიც ახლა ოსმალეთის მთავრობას, როგორც ამბობენ, სტამბოლისკენ გადაუსახლებია. აქაურს ერზე ჰმოქმედობს ის განკარგულებაც, რომელიც ამ ბოლოს დროს გამოიცა: სამხედრო სასამართლოს წესით დაისჯება ის, ვინც ავაზაკობას და კაცის კვლას ჩაიდენსო. ღარიბი და მშვიდობიანი ხალხი აქამდინაც დარწმუნებული იყო, რომ ყველას უნდა ალალი ლუკმა სჭამოს თავის ოფლით მონაგარით და ახლა უფრო გავრცელდა ეს რწმენა. მდაბიო ხალხში აქეთ მაინც დიდად სამარცხვინო საქმეთ მიაჩნიათ არმობა და ავკაცობით მობოჭილი სიმდიდრე.

*** ქარელი: სწორედ ვერაფერს იღბალზედ დაბადებულა ჩვენი სოფელი. მრავალი ხალხი ასხია, თუ თავადი და თუ აზნაური, რკინის გზის სადგური აქ არის; მტკვარი გვერდზედ ჩამოუდის და ეს ვერ მოუხერხებია ამოდენა საზოგადოებას, სადგურიდამ სოფლამდე და თვით სოფელში რიგიან ქუჩა-გზა იქონიოს. რა უნდა იყოს ამოდენა სოფლისათვის რამდენისამე ასისა და ორასის ურმის ქვიშის მოტანა მტკვრიდამ და გზა-ქუჩებზე მოყრა. მაგრამ არა, არ იქნა. ისევ იმას ვამჯობინებთ, რომ ვისხდეთ სახლში და კარში ცხვირი ვერ გამოვყოთ ლაფისა და ტლაპოს შიშითა. სასარგებლო რამ სასოფლო დაწესებულებანი ხომ ღმერთს ჩვენთვის არ გაუჩენია: არც რიგიანად და კეთილად განწყობილი სკოლა, არც წიგნთ-საცავი და სამკითხველო, არც სასოფლო ბანკი და დუქანი, არც პურის ბეღელი, არაფერი ღვთისაგან განაჩენი ჩვენთვის არ არსებობს. სირცხვილი-კია სწორედ, სირცხვილი ჩვენთვის!

## შეცდომის გასწორება.

გუშინდელს წერილში „ქართულის აზრის გამართლება“ რამდენიმე კორექტურული შეცდომა შეგვპარვია. დაბეჭდილია: თუმცა მთელს ქართველს გადაახვევინა სწორე გზიდგან. უნდა ყოფილიყო: ზოგს ქართველს. დაბეჭდილია: მოჰყავს ერთი ფრიად სერიოზული მთავარნი მსჯელობანი რუსული გაზეთიდგად ბელგიელის დოკტორისა, უნდა ყოფილიყო: მოგვყავს ერთი ფრიად სერიოზული რუსული გაზეთიდგან მთავარნი მსჯელობანი ბელგიელის დოკტორისა. დაბეჭდილია: ლიუტისი, პროზოროვი, ლიკულისტები, უნდა ყოფილიყოს: ლიუტიხი, პროხოროვი, ოკულისტები.

## მესხური ლექსი

(ჩაწერილი ვ. კოპტონაშვილის მიერ ახალციხის მაზრაში).

ვასუქე ხორცი, ვალაღე,
სულს გადავადექ მტერადა;
ვერც იმან აცხონა სული,
ვინც ოქრო დადგა კერათა.

## კორესპონდენცია

ცხინვალი: ახლა-კი ვგონებ ეშველება ცხინვალის სამკითხველოსა და წიგნთ საცავს. ახალს ფართო სახლში გადავიტანეთ სამკითხველო; სახლი მუქთად დაგვითმო ერთის თვის ვადით გიორგობა წარბიაშვილმა ხიდის ყურზედ. სამწუხაროდ, სამკითხველოსა და წიგნთ-საცავში თვით წიგნები ნაკლებად მოიძებნება. კრენიმე მუდმივი ცრუ მოწმე მჭირდება და, თუ შენ ამ გვარს სამსახურს იკისრებ, კარგს სასყიდელს მიიღებ ჩემგანაო. მე ჯერ გაშტერებული შევყურებდი, მაგრამ როცა ხატების ძლიერებას შეეხო, როცა ცხონებწაწყმენდაზე დაიწყო ლაპარაკი, სრულებით შევიშალე, თავი გავიმეტე და ხანჯალზე ასაგებად მოვკინდომე, მაგრამ უცებ წარმომიდგა ჩემის ცოლშვილის საცოდაობა, უპატრონობა და ამან შემიშალა ხელი. რაღას ვიქმოდი? ჩემი ქაღალდები გამოვართვი, ერთიც ლაზათიანად მივაფურთხე თვალებში და წამოვედი. ორი თუმანი-კი შემიჭამა ტყუილად იმ სულ-გაყიდულმა, მაგრამ ღმერთი არ შეარჩენს. ამ გზით მოარული კაცი ბევრი მინახავს კისერ მოგრეხილი და კიდევ ვნახავ, თუ ვიცოცხლე. რამდენი კაცი გაუტყავებია იმ ეშმაკის მეგობარს და იმას მაინც გრძნობდეს, რომ ქურდია და სხვა არაფერი. შენც არ მომიკვდე, თავი ანგელოზად წარმოუდგენია და, სახლში რომ ვეწ-

---

იძულეთ ჩემი შვილი, რომ ხმელი მჭადი მაინც მაჭამოს და სიბერისაგან ძვალტყავად ნაქცევი სხეული ძველის ფარაჯით მაინც შემიმოსოსო. რა ჰქნას საწყალმა შვილმა? განა არ იცის, რომ მამას პატივისცემა უნდა, ნაამაგარს გარდახდა უნდა? როგორ არ იცის რისაც მოვალეა მამის წინაშე, სირცხვილით იწვის, მაგრამ რა ჰქნას, მისმა მარჯვენამ თუ იმდენი ვერ შესძლო, რომ ათასი ხარჯი მოიშოროს და კიდევ თავის სახლობა უზრუნველ ჰყოს. ისიც გულახდით ეუბნება მოსამართლეებს: „მიუსაჯეთ ჩემს მშობელს სარჩო, თქვენიჭირიმე, მაგრამ ჩემი შეძლება-კი იქონიეთ სახეში. ან-კი რა საჩივარი უნდა მაგას, რაც შეძლება მაქვს, განა-კი დავიშურებ ამისთვის?“ მეორე ბანაკის ვაჟბატონს-კი, ძონძების ნაცვლად, ბრწყინვალე სამოსელი უმშვენებს გალაღებულს ტანს. დიდის თავმომწონედ, წელში გასწორებული, პირზე ღიმილი არ შორდება, სახე დარდსა და ნაღველს არ ალბეჭდავს; უკან ნეტარება, უდარდელი ცხოვრება, წინ კიდევ ათასი სასიამოვნო სურათი ეშლება და გულს უხალისებს; ქვეყანა ედემად დაუსახავს და სოფელი სათლელ დუმად. თუმცა ორმოცდაათს წელს გადააბიჯა, მაგრამ იმისი თეთრ-წითლად გახაშხაშებული ლოყები კიდევ ბევრს კეკლუცს ქალს აუტოკებს გულს. მის სახლში სრული ნეტარება გამეფებულა. შვილს უხარიან, რომ მოხუცებული მშობლები ჯანმრთელი ჰყავს და შეძლება ნებას აძლევს ყოველგვარი სიამოვნებზ წინ გაუშალოს მხიარულს დედ მამას და მშობლებიც უამრავს მადლობას სწირვენ ღმერთს, რომელმაც ასეთის ბედნიერის შვილის პატრონი გახადა. გალაღებულმა ოჯახის წევრებმა არ იციან ერთმანერთს რითი აამონ. ბედნიერი კეკელა ლექსებს სწერს და საყვარელს „პაპაშას“ უძღვნის, უდარდელი კოტე „მამაშას ჰკოცნის ხელებზე ბ მის დღეგრძელობას სთხოვს ღმერთს. ზაფხულის ბრწყინვალე ღამეში რომ მთელი სახლობა ჩაის შეექცეოდეს სახლის წინ აშლილს ხეივანში, მზრუნველი დიასახლისი მოხუცებულებს იმასაც-კი არ დააცლის მშვენიერის ბუნების ცქერით დასტკბნენ: ის ბალახებზე ხელს მოუსვამს და, თუ ნამი შენიშნა ზედ, მზრუნველობით ეუბნება „ბატონებო, წავიდეთ სახლში, თორემ გაცივდებით. ან-კი რა უჭირთ? შეძლება ნებას აძლევთ წვრილმანებსაც-კი ყურადღება მიაქციონ იმ დროს, როცა მეორე დიასახლისი მათ გვერდით დღესასწაულებშიაც ასე ატყუებს შიმშილით გამწარებულთ წვრილშვილს: დღეს მარხვა არის და ხორცი არ იჭმებაო.

დიაღ, ვნახე, ერთის მხრით, ბეჩავი შრომის შვილი, რომელიც ისე შეუბრალებლად ჩაუგდია თავის კლანჭებში სიღარიბეს; ვნახე სიმდიდრის მორევში მცურავი გალაღებული ვაჟბატონიცა მეორეს მხრით. გავიგე, რომ ამ უკანასკნელის სიმდიდრე მხოლოდ მისი წურბელაობის ნაყოფია, რომ ასი და ათასი პირველისთანა ბეჩავი გაუხდია საფეხურად, სანამ ისე მაღლა აცოცდებოდა, შეუფარდე ამათი ყოფა ერთმანერთს და ამ შეფარდებამ ერთიანად შემზარა. აუტანელი იქნებოდა ჩემი ყოფა, რომ ჩემ მიერ დათვალიერებულს ქოხმახებში ერთი სანუგეშო ამბავი არ შემენიშნა. ვნახე, რომ ობობა ხალხისაგან დევნილს სვინდისს, ადამიანობას მხოლოდ ამ ქოხმახებში დაუკრძალავს თავი და ასეთს უზომო გაჭირებასაც ვერ გამოუდევნია იგი ადამიანობა და სვინიდისი ოფლით მორწყულ ქოხებიდგან. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ისევ ამგვარ მშრომელის სიტყვებს: «გუშინ ხრიკაძესთან გიახელი, დაიწყო მან, საქმე მქონდა ჯერ მოჰყვა, ბატონო, და თავის ცხრა მხარის ენით იმ გვარად ამიწერა ჩემი გაჭირება, რომ ცრემლები მომგვარა, შვილები არ დამეხოცება. შემდეგ მითხრა, რომ საქმეების წასამართავად რამდე-

ბა მოხდა ამ საგნის გამო, მაგრამ კრებასაც მცირედი საზოგადოება დაესწრო. სამკითხველოს გამგეებათ ავარჩიეთ: კნ. ეფემია მაჩაბლისა, ივ. ელიოზიშვილი, ტერ-ფარსიღ ტერ-აფრიამოვი და ბოქაული ე. გუგუშვილი. ბიბლიოთეკის მცველად არის თ. რ. ფავლენიშვილი. ამავე კრებაზედ გადასცა ბიბლიოთეკას შესაწირავი ბ-ნმა გუგუშვილმა 3 მ., მომრიგებელმა მოსამართლემ მეხმანდაროვმა 3 მ. და'გაზ.Нов. Обоз." თავისი გაზეთი, ნოტარიუსმა ლუკაშევსკიმ 2 მ., საჩინო მურადაშვილმა 2 მ., ივანე იარალოვმა 2 მ., მიხეილ მაჰავარიანმა 2 მ., მღვდელმა ტერ-აფრიამოვმა 2 მ., იოსებ მასიშვილმა 2 მ., ივანე ცერაძემ 2 მ., თავად მაჩაბლებმა ტყის კანტორიდგან ხუთი თუმ., რევაზ ფავლენიშვილმა 2 მ., ზურაბ ჯიოშვილმა 2 მ. 50 კ., გელა იარალოვმა 2 მ., ვასილ მებურნუთოვმა 2., ვასილ ძუწოვმა 2 მ., იასონ ხიმშიაშვილმა 2 მ., გრ. კობახიძემ 2 მ., იაკობ ნადირაძემ 2 მ., ჩიტო კასრაძემ 2 მ.,ნიკა კასრაძემ 2 მ., ნიკო ქარსანოვმა 2 მ., ქეთევან ოჰანაშვილისამ 2 მან., სოსანა ტერ-სტეფანოვმა 2 მ., ეკატერინე იარალოვისამ 2 მ., მარიამ იარალოვისამ 2 მ., მოსე ჯინჯიხაშვილმა 2 მ., გიორგი გალავანაშვილმა 2 მ., ისაკ მელქოევმა 2 მ., ნიკა ჰიტაშვილმა 2 მ., ალექსი კვინიკაძემ 2 მ., კოლა მიქელიძემ 2 მ., ბერძენიშვილმა 2 მ.

ვთხოვთ ყველას, ვისაც-კი შეუძლიან რითიმე დახმარება აღმოუჩინოს ჩვენს სამკითხველოს, შეგვეწიოს და ან წიგნი, ან ფული გამოგვიგზავნოს. ყოველის შესაწევარისათვის ჩვენი საზოგადოება დიდი მადლობელი იქნება შემწირველებისა.

მეთვალყურე

## ქართველი ამერიკაში

ჩვენ მოგვივიდა სან-ფრანცისკოს გაზეთი „San Francisco Chronicle"-ი 23 (11) იანვრისა 1894 წლისა, რომელშიაც დაბეჭდილია საყურადღებო წერილი. მოგვყავს შინაარსი ამ წერილისა. სათაურად წერილს აწერია:

უდაბურის მეთაური

ჩვენში იმყოფება ერთი აზნაური ჩერქეზი, უშესანიშნავესი ცხენოსანი.

აქ იმყოფება ერთი აზნაური, რუსეთის ტრამალ ადგილებიდგან მოსული, რომელმაც საერთო ყურადღება დაიმსახურა. გუშინ იგი როტონდაში ცხენით ჯირითობდა.

ამ კაცს ისეთი ტანსაცმელი აცვია, რომ ისე მორთული ჯერ ჩვენში არავის უნახავს. ეს აზნაური სიმაღლით 6 ფუთია (ორ ადლს ნ ხევარზედ ცოტა მეტი), კაბასავით გრძელი ტანისამოსი აცვია და ამ სამოსზედ სამკაული და მოსართავი რომ არა ჰქონდეს-რა, მღვდელი ეგონებოდა ადამიანს. ტყავის ქუდი ჰხურავს. ქამარზედ ჩამოკიდებული აქვს გრძელი, უცნაური დანა, რომელიც თავში სხვილია და შემდეგ ბოლოში დაწვრილებული. ეს დანა ორის მხრივ ბასრია. ამას გარდა, ხმალი არტყია.

მან დასწერა თავისი ვინაობა თავის ქვეყნის ენაზედ და აღმოჩნდა გვარად მ. ტ. კოტკოშვილი. კოტკოშვილი წარმოსადეგი კაცია, საუცხოო ახოვანებისა. შავი თვალები აქვს და კლასიკური, ვაჟკაცური შეხედულება. მან განაცხადა, რომ ქ. ტფილისში ვცხოვრობ, ეს ქალაქი 50,000 მცხოვრებლებისაგან შესდგება და გარს უდაბური, ტრამალი ადგილები არტყია(?) იმისმა კომისიონერმა ჟ-ლეზნოგროდოვმა-კი სთქვა, რომ კოტკოშვილი ჩერქეზთ კეთილშობილის შთამომავლობისაა, ქ. ტფილისის მცხოვრებელია, ეს ქალაქი ამ ბოლოს დროს ევროპიულად მოეწყო. გამართულია შიგ ტელეფონები, ელექტრონი, მშვენიერი სახლებია შიგ აგებული ევროპიულს გემოვნებაზედ, საუცხოო თეატრი აქვს, გარს მთები არტყია და შვეიცარიას ემსგავსებაო. ჩერქეზები ძალიან კარგი ცხენოსნები არიან და ამისი სახელიცა აქვთ დამსახურებული.

კოტკოშვილმა დასძინა, რომ ათის წლიდგან ვისწავლე ხცენზედ ჯდომა, ჩემის აზრით, საუკეთესო ჯიშის ცხენი ჩვენებური ცხენია, ჯაფისა და შრომის ამტანი, ლამაზი. ჩვენში ყმაწვილი ათის წლიდგანვე ცხენზედ იზრდება და ეჩვევა ცხენოსნობასაო. ჩვენის სიცოცხლის მესამედს ნაწილს ცხენზედ ვატარებთო.

გაზეთი ამბობს, რომ კოტკოშვილმა როტონდაში ჯირითობის დროს დამბაჩა დასცალა, ხმალი ამოიღო და ისეთის ხელოვნებით ატრიალებდა, რომ ეტყობოდა, დიდი ვაჟკაცი უნდა იყოსო.

როგორც გაზეთის სიტყვიდგანა სჩანს, მ. ტ. კოტკოშვილი ჯერ სან-ფრანცისკოში მისვლამდე, ჩიკაგოში ყოფილა და აქ ბუფალო-ბილის ცირკში მყოფ ყაზახთა დასისათვის ცხენზედ ვარჯიშობის მასწავლებლად ყოფილა მიწვეული. იქაც დიდი ყურადღება დაიმსახურა თურმე საზოგადოებისაო.

გაზეთშივე დაბეჭდილია სურათი თვით მ. ტ. კოტკოშვილისა. კოტკოშვილს ჩოხა აცვია, მართლაც კარგის შეხედულობის ვაჟკაცი სჩანს, შავი წვერი აქვს და დაგრეხილი ულვაშები.

## ბიბლიოგრაფია

—

Педагогическіе вопросы № 1.

**Нормальное Письмо,**

Статья Якова Гогебашвили

ჩინებული აზრი მოსვლია ბ-ნს იაკობ გოგებაშვილს. მას განუზრახავს საპედაგოგიო საგნების განხილვა და მათი ცალკე წიგნაკებად ბეჭდვა, რომ ამით, როგორც თვითვე ამბობს (იხ. 4 გვ.), უმეტესი ინტერესი აღძრას საპედაგოგიო საქმის მიმართ ჩვენს საზოგადოებაში. ეს რასაკვირველია, ძალიან მოსაწონი საქმეა, ამას თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, ჩვენ ვგონებთ, რომ ამავე დროს ქართულადაც რომ იბეჭდებოდეს ამ გვარის შინაარსის წიგნაკები, ბევრად უფრო უმჯობესი იქმნებოდა. საჭიროა, რომ ძვალსა და რბილში გვქონდეს გამჯდარი ყოველივე ის, რაც-კი მცირეოდნად მაინც შეეხება ჩვენს თვითარსებობას და მაშინ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ესე გულ-ხელ დაკრეფილი როდიღა ვისხდებით სხვისის ხელის შემყურავნი. მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიქონიოთ ის იმედი, რომ ჩვენ თვით სხვათა ძალ-დაუტანებლადაც შევიძლებთ ჩვენის სიკეთის დაცვასა. ამისათვის, განვიმეორებთ, საჭიროა უპირველეს ჩვენ თვით გვქონდეს შეგნებული დ გათვალისწინებული ის, რასაც დღეს სხვისაგან გამოველით და ამისი ხომ უებარი წამალია წიგნების ბეჭდვა და მათი გავრცელება.

ეს პირველი წგნაკი შეეხება ნორმალურ წერას. აი მოკლედ იმისი შინაარსიც.

ხალხი დადის, დგას თუ ჰზის, სულ სწორედ; ავეჯი, ჭურჭელი და საცხოვრებელი სახლისა უთუოდ სწორედ იდგმის; ასევეა ყოველი პირუტყვი ასევეა ხე, ბუჩქი, ბალახი და ყვავილი, თუ რაიმე გარემოებამ არ შეუშალა ხელი, ასევეა მთები, ერთის სიტყვით, ამას მოითხოვს კანონი ბუნებისა, ჩვენც ყმაწვილობითვე შეჩვეული ვართ ამ ჩვეულებრივ მოვლენას (კანონს) და სწორე წერაც ხომ სრულიად შეთანხმებულია ამ მხრივ ბუნების მოთხოვნილებასთანაო.

ამისათვის სწორე ასოები, როგორც უფრო ბუნებითი, უფრო გვეადვილება წერის დროსაც და კითხვის დროსაც; ირიბად წერას ყმაწვილი ვერ ეჩვევა და თუ შეეჩვია, ძვირად უჯდება ეს მეცადინეობაო.

არა მცირე მნიშვნელობა აქვს ერთფეროვნობას ბეჭდურისა და ხელთნაწერის ასოებისასა, ე. ი., როდესაც ვკითხულობთ და ვწერთ ერთნაირის სწორე ასოებით, ეს საქმის წინ მსვლელობასა ჰშველის და წინააღმდეგ შემთხვევაში-კი ერთი მეორეს აბრკოლებსო.

სილამაზითაც ბევრად უფრო ლამაზია სწორე წერა, ვიდრე ირიბი წერაო.

გიგიენიურის მხრივ კაცის ჯანმრთელობისათვის ხომ შედარებაცკი არ შეიძლება ამათი ერთისა მეორესთანაო.

შემდეგ ავტორი ჰსინჯავს ირიბ წერას სწორე წერასთან შედარებით და უარ ჰყოფს ყოველსავე მის ღირსებას მისსავე ნაკლულევანებასთან შეწონვით. მოჰყავს აგრეთვე აზრი ბევრის დამსახურებულის მეცნიერისა და ისურვებს, რომ ეს ირიბი წერა იქმნას ჩვენში სრულიად განდევნილ და მის მაგიერ შემოღებულიყოს ნორმალური წერა, ნამეტნავად ჩვენში, სადაც იმ თავით სულ სწორე წერა ყოფილა მიღებული.

არ შეიძლება არ დეეთანხმოს კაცი ამისთანა კეთილ სურვილს, მაგრამ საჭიროდა ვრაცხთ აქვე შევნიშნოთ, რომ ავტორს ზოგიერთირამ, რაც ჩვენის აზრით, ცოტა არ იყოს, უფუჭებს ამ ფრიად სასარგებლო წიგნს საზოგადო ზედმოქმედებას.

მაგალითებრ თუნდა ის ადგილი, სადაც ავტორი ადარებს სწორესა და ირიბ წერას: «დადე რვეული სწორედ, დაიჭი კალამი სწორედ,, სწერე სწორედ,» ცხადია და მარტივიო. ირიბ წერისათვის-კი არ იცის კაცმა, თუ რამდენად უნდა დაირიბოს რვეული და ამ რვეულის დაირიბებისაგან ხომ, ვინ იცის, რამდენი რამ არ წარმოსდგებაო (იხ. № 9). ამავე დროს რომ გადმოჰშალოთ გვ. 22, აღმოიკითხავთ შემდეგს: სწორე წერის დროს რვეული სწორედ არ უნდა ედოს კტსაო,თორემ გვერდელა ასოები მოუვა, რადგან მკლავი ადამიანისა მიბმულია მხარზედ და არა მკერდზედაო და სხვა-და-სხვა. ამისთანა ადგილები ჩვენის აზრით სრულიად აქარწყლებს კაი ადგილებსაც-კი და თითქოს სარწმუნოს არა ჰხდის თვით დედა-აზრს წიგნისას.

ღრიანკელი

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

უცხოეთის გაზეთები ამბობენ, რომ გლადსტონის ძარღვებში ორის სამეფო გვარეულობის სისხლი დგასო, ინგლისისა და შოტლანდიისა. დედ-მამა ამ შესანიშნავის ინგლისის მთავარ-მ ნისტრისა ნატამალნი არიან პლანტაგენეტებისა და ამ გვარად გლადსტონი ბიძაშვილია ინგლისის დედოფლის ვიქტორიასიო.

—

მილანში ამ ჟამად ათი დრამების მწერალნი შეამხანაგებულან და ერთად ერთს კომედიასა სწერენ. ეს კომედია ხუთმოქმედებიანი უნდა იყოს. მოქმედებათა ცალკე სცენებიც-კი განაწილებული აქვთ ამ მწერალთ და ცალკ-ცალკე სწერენ.

—

ლონდონში შესდგა ერთი ახალი სასარგებლო საზოგადოება ყმაწვილ ქალების დასაზღვევად. დაზღვეულმა ყმაწვილმა ქალმა წლისა და წლის თავზედ ფული უნდა შეიტანოს ამ საზოგადოებაში. თუ ორმოცის წლისა შესრულდა და გათხოვება ვერ მოასწრო, საზოგადოება უხდის ყველა მის მიერ წვრილად შეტანილს ფულს ერთად პრემიად. ხოლო თუ გათხოვდა, მაშინ მის მიერ შეტანილი ფული აღარ უბრუნდება და საზოგადოების თანხაში ირიცხება.

—

პარიზის ცირკში ერთს ამერიკელს მასხარას ცირკის მოედანზედ გამოჰყავს თურმე შესანიშნავი ძაღლები მემუსიკენი. ეს ოთხ ფეხა არტისტები უკრავენ სკრიპკასა, კონტრაბასსა, საყვირსა და სხვა საკრავ იარაღზედ. ამ მემუსიკე ძაღლების დირიჟორი დაბეჯითებით ამ-

---

ვიო, სუფრაზედაც არ დამსვამს, რაო და იმას სხვა სისხლი ედგას მითომ და მე სულ სხვა. იმას-კი არ ფიქრობს, რომ სისხლიც და ხორციც ჩემისთანა მუშა კაცების წყალობით შეიბა: რაც უნდა იფიქროს და მე არა მშურს იმისი დიდება. არა, რისთვის ავიღებ ნამუსზე ხელს? ტიტველი ვშობილვარ და ტიტველი წავალ ამ სოფლიდ, ღმერთთან-კი პირნათლად გამოვიდე. თუ გამჩენი მწყალობს,ეს ჩემი მარჯვენა კუბოს კარამდე კი მიმათრევინებს ამ ძაღლუმადლო სიცოცხლეს და სიკვდილს გინდ ძონძებში მიულივარ და გინდ ბუზმენტებით მორთული, სულ ერთი არის. სიმშილით რომ ვკვდებოდე, ჩემს სახლში ნაარმევს არ შევიტან; ამგვარი ლუკმა ყელზე დამადგება და მხოლოდ ხრიკაძისებურის ადამიანების ყელში პოულობას გზას, დაასრულა ჩემმა მოსაუბრემ.

მართლა რომ დალოცვილია, სოფლელისა არ იყოს, მუშის მარჯვენა. მხოლოდ შრომას შეუძლიან ასე გაუმტკიცოს კაცს ხასიათი, რომ ლუკმა პურის მონატრულმა, ათასის ჭირვარამით შევიწროვებულმა სხვის ნაამაგარს არ წაეპოტინოს, უსამართლო ლუკმას მოერიდოს. მარტო ისეთი კაცი შეიკედლებს მრავალთაგან დევნილს და წამებულს სინიდისს, რომელიც თავის მარჯვენაზეა დამყარებული, თავის თავის იმედი აქვს. იკურთხოს მუშავ, შენი მარჯვენა, ოფლით ნაბანი! ევედრე შენთვის ჯვარცმულს.

ეხლა მივხედოთ იმათ, ვინც სხვების ნაოფლარს უთვალ-თვალებს, ვინც, როგორც მოგახსენეთ, დალაქობს. ერთის შეხედვით, მათი ტკბილი ცხოვრება შეგშურდება, მათი ბრწყინვალე მორთულ-მოკაზმულობა თვალს მოგტაცებს, მაგრამ არც ისე საშურველია იმათი ყოფა, როგორც შორიდგან გეჩვენებს. სხვებისა რა მოგახსენო და მე-კი ამ კაცების უსულდგმულო ცხოვრება იმ უნაყოფო ხის არსებობას მომაგონებს, რომელიც თავის გარეგნობით თვალს გტაცებს, მაგრამ შიგ ათასი ჭია-ღუა დაბუდებულა და გულს უღრღნის, ხეს, რომელსაც მაცხოვრის მიერ დასახელებული ცული ზედ ძირთან აქვს მიტანილი. ერთს მშვენიერს დღეს ამგვარი ობობა კაცების საფეხურად გამხდარი ადამიანები რომ გონს მოვიდნენ და ჯიბეს მაგრა მოუჭირონ ხელი, წარმოიდგინეთ, რას ევვანება სხვათა კრეჭის ჩვეულ სულდგმულების ყოფა. მაშინ ხომ თაროზედ უნდა შეაწყონ თვისი ამ ჟამად მეტად ბასრი კბილები. შესძლებს განა მათი მოდუნებული სხვათა ნაამაგარისკენ გაწვდილი მარჯვენა თავის პატრონის დახსნის ცხოვრების ქიდილში? კიდევ კარგი, რომ განსაცდელი მხოლოდ ერთის მხრიდგან, გარედგან იყოს მიმდგარი. აგერ მხვრელი მკრეჭელი ვანუა გარბის თავის მომავლინებელთან და უბეში დასაბეზღებელი წერილი უდევს მისის თანამოძმის პეტრიას გასაქრობად შეთხზული, რაო და ეს უკანასკნელი რიგზე ვერ ჰკრეჭს, მატყლის ტყავიც გააყოლაო. იქ სენკა გადარჯულებული აბეზღებს ხანგრძლივის დადაქობით წელში მოხრილს საბრალო იოთამს, რომელსაც, სენკას სიტყვით, სიბერემ მოასწრო და თავის ხელობისათვის სრულიად შეუფერებელი შეიქმნა. ამ ყოფის დასასურათებლად ბევრი მასალა მაქვს, მაგრამ თავს ვიკავებ ერთის მოსაზრებით. მე შინიან,ვაი თუ ჩემმა ხრიკაძემ თვისი განსაცდელი გაითვალისწინოს, რათა მომავალი სიცოცხლის წამები უზრუნველ ჰყოს. ყოველ შემთხვევაში ამას ვსთხოვ ხრიკაძეს და მისს ჰამქრებს, რომ კარგად წარმოიდგინონ, რამდენად მაღლა დგანან მათზე ის ადამიანები, რომელთაც ტაციაობით თვისი ღვთაებრივი ბუნება არ შებლახეს და ცხოვრების ტალღებთან ბრძოლაში თვისი „ოფლით ნაბანის" მარჯვენის შემწეობით იოლად გამოდიან, რომელთაც უკიდურესს გაჭირვებაშიაც არ დაუყრიათ თვისი ზნეობრივი ფარხმალი, დიაღ, წარმოადგინონ ეს ცოტაოდენის პატივისცემით მაინც მოეპყრან იმ კაცებს, რომელთაც სამართლიანად შეუძლიანთ გაიმეორონ ჩვენის პოეტის ნათქვამი:

„რაც ჩემი ურმის არ არის,
სახლში არ შემიტანია;
ღმერთმა მაშოროს, რაც ჩემს
ოფლით არ გამიბანია.

— ნუ თუ ამ ორის ჯურის ადამიანებით არის დასახლებული საქართველო? იკითხავს გაოცებული მკითხველი. არა, ბატონო, აქ, სხვათაშორის, ისეთებიც არიან, რომელიც ორსავე ბანაკის ხელობას მოჰრიდებიან, ესენი ის ინტელიგენტები გახლავან, რომელნიც კეთილაძემ გამაცნო, მაგრამ ამათ შესახებ შემდეგში მოვილაპარაკოთ.

შუბნელი

ბობს, რომ ჩემის სამუსიკო ხორის უოველს წევრს ამერიკის კონსერვატორიაში სწავლის დამთავრების მოწმობა აქვსო.

## გასართობი

—

ერთი ქალი შესჩიოდა ჯარის უფროსს, რომ თქვენმა ჯარის კაცებმა გამქურდესო.

— ყველაფერი წაიღეს? ჰკითხა ჯარის უფროსმა.

— არა ცოტა რამ დაუტოვებიათ.

—მაშ ეგ ჩემი ჯარის კაცები არ იქნებოდნენ. ჩემები რომ ყოფილიყვნენ, ისე გაალაგებდნენ, რომ არაფერს არ დასტოვებდნენ.

**

— დედა ამბობს, რომ ყოველს ადამიანს თავში ტვინი აქვსო. უთხრა ერთხელ პაწია ყმაწვილმა თავის ძიძას: მამას ალბად ბამბით ექმნება თავი გამოტენილი, რადგან ყურიდგან ყოველთვის ბამბის ნაჭერი უჩანს.

**

ომში ერთი ჯარის კაცი ყვიროდა:

— ბატონო უფროსო, ტყვე დავიჭირე.

— ყოჩაღ. წამოიყვა აქ ეგ შეჩვენებული, მოესმა უფროსის ხმა.

— ვერ წამომიყვანია, არ მოდის.

— შენ მაინც წამოდი.

— წამოვიდოდი ბატონო, მაგრამ ტყვე არ მიშვებს.

## გამოსადეგი ცნობა

—

დამწვრისა და დაჭრილის წამალი. ჩაჭყარეთ წყალში დამწვარი კირი და დიდხანს კარგად ურიეთ, მერე დადგით, რომ კარგად დაიწმინდოს წყალი. ამ წყლის 1 გირვანქა და 18 მისხალს მიუმატეთ ოთხი კვერცხის გული, არეული 14 მისხალ ტერპენტინში. ასე შეზავებულს წამალში დაასველეთ დაწეწილი ტილო და დაადეთ დამწვარ ან დაჭრილ ალაგას, უცვალეთ დღეში სამჯერ. გამოცვლის დროს თუ გაწეწილი ტილო დაკრული ჰქონდეს იარაზედ, თბილის წყლით დაასველეთ და ისე აამრეთ; დამწვარ-დაჭრილი ისე მორჩება, რომ ნამწვარი და განაჭერი ადგილი არ დაეტყობა.

# დეპეშა

**პეტერბურგი.** 8 თებერვალს, ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა ბრძანდებოდნენ დღეს ალექსანდრე ნევის მონასტერში.

ფინანსთა მინისტრმა ნება დართო საადგილ-მამულო ბანკებს, რომ შეეძლოთ სესხის გაცემა 20, $12^1/_2$ $14^1/_2$ და $16^1/_2$ წლით; ერთად 5% გირაოს ფურცლებთანგამოსცენ $4^1/_2$% ფურცლებიცა; მიენდოს ბანკის მმართველობათა, რათა უმახლობელეს საზოგადო კრებას წარუდგინონ ის აზრი, რომ შემცირდეს მსესხებელთა გადასახადი $1^1/_2$%-ამდი, წელიწადში, რომლისაგან უნდა შესდგეს სათადარიგო კაპიტალი აქციონერთა დივიდენდათ და საჭირო მართველობის ხარჯისათვის. აგრეთვე ითხოვონ ბანკებმა, რომ მიეცეს ნება სესხის გაცემისა ერობისა და ქალაქებისათვის.

**ბერლინი.** გერმანიის საბჭომ დაამტკიცა დღეს რუს-გერმანთა სავაჭრო ხელ-შეკრულობა ერთხმად. ორშაბათს პარლამენტი პირველად განიხილავს ამ პროექტს.

იმპერატორი მიბრძანდა დღეს მატარებლით ფრიდრიჰრუეს, თავად ბისმარკის სანახავად. იმპერატორს დაუხვდა თავადი ბისმარკი, პროფესორი შვენინგენი და კრიზანდერი. იმპერატორმა ჩამოართვა თავადს ბისმარკს ხელი. შემდეგ ამისა წაბრძანდა ბისმარკის სასახლეში, სადაც მიეგება იმპერატორს მეუღლე თავადისა.

### პეტერბურგის ბირჟა, 4 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,42 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | $149^1/_2$ | — „ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | $243^3/_4$ |
| —მეორისა . . . . | | — „ | 227 |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% . . . . . | $98^1/_4$ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 101 | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | $98^1/_4$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98^1/_4$ | — „ | — „ |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე-გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—


# განცხადებანი

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი,** $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ბ. კარაპეტიანცი,** 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

**სადამოობით:**

**ა. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ე. ი. ფრანცუსი,** 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**50 руб.** и больше **награды** получитъ тотъ, кто немедленно дастъ самыя точныя свѣдѣнія о послѣднемъ мѣстопребываніи Рудольфа Петровича Кауца, или доказательство его смерти. Рудольфъ Кауцъ до 1867 г. проживалъ въ Царствѣ Польскомъ, а около 1879 г. былъ на Кавказѣ.

—

Письма адресовать: Фабрика В. Кауца. Варшава, Эриванская, № 5.

**კახეთის ახლად შემდგარს ვენახების პატრონთ ამხანაგობა,** დაარსებულია იმ აზრით, რომ ადგილობრივ და შიდა რუსეთის ბაზრებში გაიტანოს ნამდვილი კახური ღვინო ამ ამხანაგობის წევრთა ვენახებისა. ამხანაგობამ მოქმედება დაიწყო ამ წლის 5 თებერვლიდგან.

ნარდად და წვრილ-წვრილად გაიყიდება ტფილისს, ამ საზოგადოების საწყობ სარდაფებსა და მაღაზიებში; 1) მიხაილოვის ქუჩაზედ, სლივიცკის სახლში № 81; 2) ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლაში.

(10—5)

# კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—158)



# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50„ | 5 „ . . . . | 5 „ 50„ |
| 10 „ . . . . | 8 „ 75„ | 4 „ . . . . | 4 „ 75„ |
| 9 „ . . . . | 8 „ —„ | 3 „ . . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . . | 7 „ 25„ | 2 „ . . . . | 2 „ 75„ |
| 7 „ . . . . | 6 „ 50„ | 1 „ . . . . | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.



# ნუ იყიდით



# ველოსიპედებს

მანამ ჩვენი კატალოგი 1894 წ. არ წაიკითხოთ. ჩვენი კატალოგი გამოაშკარავებს **სენსაციურ ახალ ამგავს** ამ წლის სეზონისთვის.

**კატალოგი გაეგზავნებათ უფასოდ.**

Торговый домъ **Ж. Блокъ, Москва.** С.-Петербургъ, Одесса, Варшава, Кокандъ, Ростовъ н/д, Екатеринбургъ.

(5—1)

# გ. ა. რუზანოვი და ამხ.

პეტერბურგი, რაზიეზჟის ქუჩა, სახლი № 18

ახალი ამხანაგობა: პრივილეგია დამტკიცებულია № 15.627.

შედედებული სუნნელოვანი წვენი არაყისა და ლიკიორებისა, შემზადებული მხოლოდ სხვა-და-სხვა ხილისაგან, მცენარისაგან და ძირეულობისაგან, განსხვავებულია თავისი სასიამოვნო სუნით და გემოთი. ამ სხვა-და-სხვა წვენის შემწეობით

ყველას შეუძლიან მოამზადოს მალიან გემრიელი ლიკიორი, რომელიც არაფრით არ დაუვარდება საზღვარ გარეთის ძვირფასს ლიკიორებს და ყველანაირი სიმრთელისათვის მარგებელი მწარე არაყები.

გ. რუზანოვის და ამხანაგობის შემზადებული წვენი არაფრით ემგზავსება სხვა ესენციებითა და საღებავით გაკეთებულს წვენს, რაშიაც ყველას შეუძლიან დარწმუნდეს. პრეისკურანტი გაეგზავნებათ პირველს მოთხოვნილებისათანავე უფასოდ.

ფასი ერთი შუშისა $^1/_1$ ან $^1/_2$ ბუთილკისათვის 15 კ—80 კ.

არაყის ქარხნებისათვის ეს წვენი უფრო დიდრონ ჭურჭლებშია შემზადებული.

(5—1)